

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნანა ნანობაშვილი

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრობა: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): მაჟორიტარი, მე-6-ე ოლქი

საანგარიშგებოპერიოდი: 2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წ 22 ოქტემბრამდე.

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის

წარმდგენი: 14 სხდომა

2. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა

ანგარიშის წარმდგენმა:

ა) კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია - 6 სხდომა;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია, -6 სხდომა.

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 38 შეხვედრა

ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: 409 მოქალაქე

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

- ✓ პანდემიით გამოწვეული პრობლემები;
- ✓ სოფ. ვაქირის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე წყლის მიწოდების საკითხები;
- ✓ უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ სანიაღვრე ქსელთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ ჯანდაცვის საკითხები;
- ✓ მატერიალური დახმარების საკითხები;

- ✓ მაწანწალა ცხოველებით გამოწვეული პრობლემები;
- ✓ შიდა საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების მოწესრიგების საკითხები.

სხვა განხორციელებული საქმიანობები:

გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ჩემი ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ჩავუდექი სათავეში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებას, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო - საბჭოს წევრი;

როგორც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი აქტიურად ვიყავი ჩართული სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთა საჭიროებათა კვლევაში. საბჭოს წევრებთან ერთად წარმატებით ვითანამშრომლე ორგანიზაციასთან: „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“, რომელმაც სიღნაღის მუნიციპალიტეტში განახორციელა პროექტი შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პროექტის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირება, მათთვის საზოგადოებრივ სიკეთეზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდობის სააგენტოს პროექტში, ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. პროექტის ფარგლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებათა კვლევა, რომელშიც 300 მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, ხოლო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ და საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2023 წ“. აღნიშნული დოკუმენტები მიზნად ისახავს ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გააქტიურებას, მათი მონაწილეობის და ჩართულობის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად ვთანამშრომლობდი მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლებთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად მონაწილეობას ვიღებდი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის კომისიის სხდომებში.

#### მივიღე მონაწილეობა:

- ✓ საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის (MSPA) მიერ ორგანიზებულ ლიდერთა სკოლის სასერტიფიკატო პროგრამის ტრენინგში (ონლაინ);
- ✓ PLATFORMA-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის სემინარში თემაზე: „გენდერული თანასწორობის დიალოგის გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში-მიღწევები, გამოწვევები და შესაძლებლობები“
- ✓ სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებულ ონლაინ სემინარში: „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, საქართველო-ნატოს თანამშრომლობის მექანიზმები, პერსპექტივები და გამოწვევები“.
- ✓ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის „ქალთა ლიდერობის აკადემიის“ მრავალპარტიულ ტრენინგში.
- ✓ სოლიდარობის ცენტრის გენდერული ფორუმის ტრენინგში: „გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში“.
- ✓ სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვით თუ სპორტულ ღონისძიებებში, რეგულაციების დაცვით;

#### შედეგი, ეფექტი:

მსოფლიო გამოწვევის - პანდემიის - პირობებში, მოქალაქეების ჯანმრთელობის, (არც ერთი მოქალაქის შეტყობინება არ დამიტოვებია რეაგირების გარეშე) სიცოცხლის გადარჩენა; მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ნანა ნანობაშვილი

21.10.2021 წ